

მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომის

ოქმი №19

ქ. მარტვილი

23 სექტემბერი, 2022 წელი

სხდომა დაიწყო 12:30 სთ-ზე დამთავრდა 14:00 სთ-ზე

სხდომას ესწრებოდნენ: ლევან სურმავა, ელდარი თოდუა, ალექსანდრე გრიგალავა, კობა დარჯანია, კახაბერ ჯგერენაია, ზურაბ მელიავა, ელიზბარ ახვლედიანი, შალვა ბახია, ლაშა ქობალია, ნათია ბჟალავა, ირინა გადელია, ირაკლი დიხამინჯია, მინდია გაბისონია, ჯამბულ ხუროძე, გიორგი კოკია, ვლადიმერ დანელია, ბექარ კუკანია, პაატა პირტახია, გოჩა ჯიქია, შალვა თაფლაძე, ზაზა რუხაია, მია გაწერელია, ზაალ გოროზია, ზაურ ჯახუა, ელენე კოკია, ვახტანგ კეკელია, ნათია ქაჯაია, კობა ასაბაშვილი, აკაკი ხუნწელია.

რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 29 წევრმა.

ასევე ესწრებოდნენ: სიმონ რევია–მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების, ქონების მართვისა და სტატისტიკის სამსახურის უფროსი, მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული განყოფილების უფროსი გრიგოლ კიკალიშვილი, საკრებულოს აპარატის თანამშრომლები და სხვა დაინტერესებული პირები.

დღის წესრიგთან დაკავშირებით რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 28 წევრმა.

სხდომას თავმჯდომარეობდა მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ლევან სურმავა.

მოისმინეს 1: საკრებულოს თავმჯდომარის ლევან სურმავას მოხსენება დღის წესრიგის პროექტთან დაკავშირებით და საკრებულოს წევრებს სთხოვა აზრი გამოეთქვათ .

დღის წესრიგის პროექტთან დაკავშირებით აზრი არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ ლევან სურმავამ დღის წესრიგის პროექტი წარმოდგენილი სახით დასვა კენჭისყრაზე,

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე 29, წინააღმდეგი 0.

დაადგინეს: დამტკიცდეს მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს, 2022 წლის 23 სექტემბერის მორიგი სხდომის დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით.

„მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 23 სექტემბრის საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ“ მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 23 სექტემბრის განკარგულება №61 სხდომის ოქმს თან ერთვის.

დღის წესრიგი:

1. მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 23 სექტემბრის მორიგი სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ;
/მომხსენებელი–ლევან სურმავა, საკრებულოს თავმჯდომარე/
2. „მარტვილის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 11 თებერვლის №20 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი-სიმონ რევია, მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების, ქონების მართვისა და სტატისტიკის სამსახურის უფროსი/

3. „მარტვილის მუნიციპალიტეტის საპატიო მოქალაქის წოდების მინიჭების წესის დადგენის შესახებ“ მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 18 აგვისტოს №21 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი-გრიგოლ კიკალიშვილი, მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული განყოფილების უფროსი/

მე-2 საკითხის წინ რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 26-მა წევრმა.

მოისმინეს 2. მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების, ქონების მართვისა და სტატისტიკის სამსახურის უფროსის სიმონ რევიას მოხსენება „მარტვილის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 11 თებერვლის №20 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო სპრივატიზაციო ობიექტები რომლებიც დაემატება მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 11 თებერვლის №20 განკარგულებით დამტკიცებულ საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხას და მოხდა აღნიშნული ობიექტების პროექტორის საშუალებით მოკვლევა დათვალიერება, რასთან დაკავშირებითაც საკრებულოს წევრების მიერ გამოითქვა სხვადასხვა მოსაზრებები, თუმცა საბოლოოდ შეჯერდნენ წარმოდგენილ განკარგულების პროექტზე.

სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნული საკითხი დასვა კენჭისყრაზე

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე 26, წინააღმდეგი 0.

დაადგინეს: დამტკიცდეს „მარტვილის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 11 თებერვლის №20 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საკითხი წარმოდგენილი სახით.

/,,,მარტვილის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 11 თებერვლის №20 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 23 სექტემბრის განკარგულება №62 სხდომის ოქმს თან ერთვის.

მე-3 საკითხის წინ რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 24 -მა წევრმა.

მოისმინეს 3. მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული განყოფილების უფროსის გრიგოლ კიკალიშვილის მოხსენება „,,მარტვილის მუნიციპალიტეტის საპატიო მოქალაქის წოდების მინიჭების წესის დადგენის შესახებ“ მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 18 აგვისტოს №21 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“.

მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს განუმარტა, რომ მარტვილის მუნიციპალიტეტის საპატიო მოქალაქის წოდების მინიჭების წესთან დაკავშირებით მიიღეს შენიშვნა სადაც მითითებულია აღნიშნულ წესში გარდაცვლილი პირების ამოღება.

სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს სთხოვა აზრი გამოეთქვათ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

აღნიშნულ საკითხზე აზრი არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნული საკითხი დასვა კენჭისყრაზე
კენჭისყრის შედეგი:

მომხრე 22 , წინააღმდეგი 0.

დაადგინეს: დამტკიცდეს „მარტვილის მუნიციპალიტეტის საპატოო მოქალაქის წოდების მინიჭების წესის დადგენის შესახებ მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 18 აგვისტოს №21 დადგენილებაში“ წარმოდგენილი სახით

/,„მარტვილის მუნიციპალიტეტის საპატოო მოქალაქის წოდების მინიჭების წესის დადგენის შესახებ“ მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 18 აგვისტოს №21 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 23 სექტემბრის დადგენილება №23 სხდომის ოქმს თან ერთვის.

ამის შემდეგ დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები ამოიწურა და საკრებულოს თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

საკრებულოს თავმჯდომარე:

ლევან სურმავა